საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა, 2007-2017

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #100/ 16.01.2018

ეკონომიკური მიმოხილვის და ინდიკატორების მეასე გამოცემა ჩვენი ორგანიზაციის ათი წლის იუბილეს დაემთხვა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკურმა ინდიკატორებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. აღნიშნულ გამოცემაში გთავაზობთ ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორების განვითარების დინამიკასა და ანალიზს 2007-2017 წლებში.

მთლიანი შიდა პროდუქტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ყოველწლიურად საშუალოდ 4.2%-ით იზრდება.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გვხვდება. თუმცა, რამდენიმე განსხვავება აღსანიშნავია მშპ-ს სტრუქტურაში 2017 წლის პირველ სამ კვარტალში, 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 2007 წლის პირველ სამ კვარტალში მშპ-ს 11.2%-ს სოფლის მეურნეობა შეადგენდა. 2017 წელს ეს მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8.7%-ია.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შედარებისთვის, 2016 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1.5%-ს[1] შეადგენდა სოფლის მეურნეობა.

ასევე, აღსანიშნავია მშენებლობის სექტორის წილის ზრდა მთლიან შიდა პროდუქტში. 2007 წლის პირველ სამ კვარტალში აღნიშნული სექტორი მთლიანი შიდა პროდუქტის 7.8% შეადგენდა. ხოლო, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში - 9.4%-ს.

აღსანიშნავია, უკანაკნელი ათი წლის განმავლობაში სახელმწიფო მმართველობის წილის მნიშვნელოვანი შემცირება მშპ-ში (13.7%-დან 7.6%-მდე) რაც დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბოლო 10 წლის განმავლობაში, სამომხმარებლო პროდუქციის ფასები საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 4.6%-ით იზრდებოდა. ფასების კლება მხოლოდ 2012 წელს დაფიქსირდა. 2013 წლიდან კი ფასებმა ზრდა განაგრძო.

2017 წლის დეკემბერში 2007 წლის დეკემბერთან შედარებით ფასების დონე 44.8%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს (90.4%) და ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფებში (78%). ფასების კლება ფიქსირდება ტანსაცმლის, ფეხსაცმლის (32%) და კავშირგაბმულობის ჯგუფებში (6.8%).

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ჯგუფების მიხედვით

ჯგუფები	ინფლაცია
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	60.4%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	90.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-32.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	18.5%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა შეკეთება	20.8%
ჯანმრთელობის დაცვა	78.0%
ტრანსპორტი	42.7%
კავშირგაბმულობა	-6.8%
დასვენება, გართობა და კულტურა	8.2%
განათლება	59.6%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	60.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	33.7%
სულ ინფლაცია	44.8%

ცხრილი: 2017 წლის დეკემბერი 2007 წლის დეკემბერთან შედარებით

საქართველოს ხუთ ყველაზე დიდ ქალაქში, მოსახლეობის მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა ქუთაისში 52.1%-ით, ხოლო ყველაზე ნაკლებად გორში 36.8%-ით.

ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წელს 2007 წელთან შედარებით ლარი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურდა 50%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებაში- 24%-ით. განსაკუთრებით თვალშისაცემია 2015 წელს ეროვნული ვალუტის 29%-იანი გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში.

განსხვავებული სურათი იკვეთება საქართველოს ახლო სამეზობლოსთან მიმართებაში. 2017 წელს 2007 წელთან შედარებით ლარის კურსი თურქული ლირას მიმართ გამყარდა 46%-ით, აზერბაიჯანული მანათის მიმართ კი 25%-ით. აზერბაიჯანული მანათი ლარის მიმართ მნიშვნელოვნად გაუფასურდა 2016 წელს (34%), მანამდე კი მანათი-ლარის გაცვლითი კურსი შედარებით სტაბილურობით ხასიათდებოდა. 2007 წელთან შედარებით 2017 წელს ლარი ასევე გამყარდა სომხური დრამის მიმართ (6%-ით).

რაც შეეხება რუსულ რუბლს, 2017 წელს ლარის კურსი რუსული რუბლის მიმართ 2007 წლის პერიოდთან შედარებით 34%-ით გამყარდა. ეროვნული ვალუტის კურსი რუსული რუბლის მიმართ, სხვა ვალუტებისგან განსხვავებით რყევებით არ ხასიათდება თუ წლიურ საშუალოს განვიხილავთ. 2014 წლიდან 1 რუბლის საშუალო წლიური კურსი სტაბილურად 0.04 ლარს შეადგენს.

[1] http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/National_accounts_and_GDP

საგარეო ვაჭრობა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2007 წლიდან დღემდე, საგარეო ვაჭრობის დინამიკა მერყეობით ხასიათდება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ექსპორტმა პიკს 2013 წელს მიაღწია (2.9 მილიარდი აშშ დოლარი) სწორედ მაშინ, როდესაც ქართული პროდუქციისთვის გაიხსნა რუსეთის ბაზარი და ამავდროულად გაუფასურდა ეროვნული ვალუტა. იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი 2014 წელს (8.6 მილიარდი აშშ დოლარი) დაფიქსირდა.

2007 წელთან შედარებით 2017 წელს უმნიშვნელოდ არის შეცვლილი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნების კომპოზიცია. თუ 2007 წლის სამ კვარტალში საქართველოს ხუთი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი იყო თურქეთი (მთლიანი ექსპორტის 15%), აზერბაიჯანი (11%), სომხეთი (9%), აშშ (9%) და უკრაინა (7%) 2017 წლის სამ კვარტალში ხუთი უმსხვილესი ქვეყანა და მათი წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში ასე გამოიყურება: რუსეთი - 14%, აზერბაიჯანი - 8.6%, თურქეთი - 8.5%, ჩინეთი - 8.3%, სომხეთი - 7.6%. აღსანიშნავია, რომ რუსეთი 2007 წლის სამი კვარტლის ექსპორტის სტატისტიკაში 4%-იანი წილით მხოლოდ მე-7 ადგილს იკავებდა. აღნუშნული გარემოება განპირობებული იყო ემბარგოთი, რომელიც 2006 წელს რუსეთის მთავრობამ დააწესა ქართულ პროდუქციაზე. მას შემდეგ რაც 2013 წელს მოხდა ემბარგოს გაუქმება, საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორი კვლავ რუსეთის ფედერაცია გახდა.

ამავდროულად, 10 უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის სიაში 2017 წლის სამი კვარტლის მონაცემებით 2007 წლის სამ კვარტალთან შედარებით მხოლოდ 3 ახალი პარტნიორი ქვეყანა გვხდება. კანადა (მთლიანი ექსპორტის 5.1%), გერმანია (4%) და თურქმენეთი (2.9%) ჩაანაცვლა ჩინეთმა (მთლიანი ექსპორტის 8.3%), ირანმა (3%) და შვეიცარიამ (2.7%).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის სამ კვარტალთან შედარებით, 2017 წლის იმავე პერიოდში საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში გაზრდილია 2.3-ჯერ. 2007 წლის სამ კვარტალში ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტმა 198 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 23.0%-ია. იგივე მაჩვენებელი 2017 წლის სამ კვარტალში 462 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი ექსპორტის 23.8%-ია.

რაც შეეხება უმსხვილეს საექსპორტო პროდუქტებს - სპილენძის მადნები, ფეროშენადნობები, და მსუბუქი ავტომობილები როგორც 2007 წლის სამ კვარტალში, ისე 2017 წლის შესაბამის პერიოდში განეკუთვნებიან მათ რიცხვს.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განსხვავებით 2007 წლისა, 2017 წლის სამ კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო პროდუქტთა სიაში შედის ნატურალური ღვინო და სამკურნალო საშუალებები. აღსანიშნავია, რომ ღვინის ექსპორტი დიდწილად არის დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე.

2017 წლის სამ კვარტალში უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების სტრუქტურა თითქმის არ შეცვლილა 2007 წლის იმავე პეროდთან შედარებით. უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყნებად თურქეთი (17%) და რუსეთი (9%) რჩებიან. ბოლო 10 წლის განმავლობაში, თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში გაიზარდა, ხოლო რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქციის წილი შემცირდა. თუმცა, იმპორტის მოცულობა ორივე ქვეყნიდან გაზრდილია და შეადგენს 952 მლნ აშშ დოლარს და 532 მლნ აშშ დოლარს შესაბამისად. რაც შეეხება ჩინეთს, ბოლო 10 წლის განმავლობაში მისი წილი მთლიან იმპორტში წლიდან წლამდე მატულობს და 2017 წელს ჩინეთი რიგით მესამე უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორია (480 მლნ აშშ დოლარით).

თითქმის არ შეცვლილა უმსხვილესი საიმპორტო პროდუქტების სია. ყველაზე დიდი რაოდენობით კვლავაც ნავთობისა და მსუბუქი ავტომობილების იმპორტი ხორციელდება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ 2017 წლის სამი კვარტლის მიხედვით, ერთ-ერთ მსხვილ საიმპორტო კატეგორიას წარმოადგენს სპილენძის მადნები. მისი იმპორტი 2011 წლიდან მკვეთრი ზრდის ტემპით ხასიათდება.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ავტომობილები და სპილენძის მადნები ფიგურირებს როგორც უმსხვილეს საიმპორტო, ასევე საექსპორტო პროდუქტებში. 2017 წლის სამ კვარტალში საქართველომ მოახდინა 309 მლნ აშშ დოლარის სპილენძის მადნების და 149 მლნ აშშ დოლარის მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი ხოლო, ამავდროულად 258 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სპილენძის მადნებისა და 343 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. სპილენძის მადნებისა და მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მეტწილად რეესქპორტზე მოდის. სპილეძის მადნების იმპორტი ძირითადად სომხეთიდან ხდება, ხოლო ექსპორტი - ბულგარეთსა და ჩინეთში. ავტომობილებს იმპორტი ძირითადად აშშ-დან და იაპონიიდან ხდება, ხოლო ექსპორტი - აზერბაიჯანსა და სომხეთში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგნაირად: 2007 წელი იყო უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ($1.8 მილიარდი), რასაც მოჰყვა მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის ომის მიერ გამოწვეული ვარდნა 2013 წლამდე, ხოლო 2013 წლიდან ხასიათდება სტაბილური მაჩვენებლით.

საინტერესოა, რომ 2007 და 2017 წლის პირველი სამი კვარტლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ქვეყნების მიხედვით მხოლოდ ორი ქვეყანა, თურქეთი და ნიდერლანდები, ფიგურირებს როგორც 2007 ისე 2017 წლის ხუთი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის სიაში. ასევე, საინტერესოა, რომ აზერბაიჯანი, რომელიც 2017 წლის პირველი სამი კვარტლის მიხედვით ლიდერობს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი ქვეყნების სიაში, 2007 წლის შესაბამის პერიოდში იკავებდა მე-19 ადგილს.

ასევე, საინტერესოა, რომ 2007 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობასთან შედარებით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2017 წლის პირველ სამ კვარტალში ნაკლებად დივერსიფიცირებული ხასიათი მიიღო განმახორციელებელი ქვეყნების კუთხით. 2007 წლის პირველ სამ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით უმსხვილესი ხუთი ქვეყნის წილი მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 57.1%-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და 74.1%-ს შეადგენს.

ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა 2007 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 166%-ით აღემატება. უკანასკნელ ათ წელიწადში საქართველოში ფულადი გზავნილების პიკმა მიაღწია 2013 წელს, როდესაც მან $1.5 მილიარდი და მთლიანი შიდა პროდუქტის 10.5% შეადგინა.

ფულადი გზავნილების სტრუქტურაში თვალსაჩინო ცვლილება განიცადა რუსეთის ფედერაციის წილმა. 2007 წლის პირველ სამ კვარტალში რუსეთიდან ფულადი გზავნილები $384.5 მილიონს შეადგენდა, რაც მთლიანი ფულადი გზავნილების 64.1% იყო. ხოლო 2017 წელს, რუსეთიდან ფულადი გზავნილები მთლიანი ფულადი გზავნილების 33.3%-ია და $331.3 მილიონს შეადგენს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ასევე, საინტერესოა, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოში ფულადმა გზავნილებმა უფრო დივერსიფიცირებული ხასიათი მიიღო. 2007 წლის პირველ სამ კვარტალში ფულადი გზავნილების კუთხით უმსხვილესი ხუთი ქვეყანა მთლიანი გზავნილების 87.3%-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული და 72.6%-ს შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2017 წლის პირველ სამ კვარტალში საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2007 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 169%-ით აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლიდან გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები შემცირდა[2] (აქციზის გადასახადის გარდა), შემოსავლები გადასახადებიდან 2007 წლის შემდეგ ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში კლება მხოლოდ 2009 (7.7%) და 2013 წლებში (0.2%) დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მაღალი წლიური ზრდა 2007 წლის შემდეგ 2011 წელს (26%) დაფიქსირდა.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში 2007 წლის მსგავსად 2017 წლის პირველ სამ კვარტალში კვლავ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების წილია ყველაზე მაღალი.

საშემოსავლო გადასახადის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 161%-ით არის გაზრდილი, ამის ძირითადი მიზეზი 2008 წლიდან სოციალური გადასახადის გაუქმება და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ზრდაა[3]. 47%-ით არის გაზრდილი აქციზის გადასახადის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში, ხოლო ქონების 57%-ით. დანარჩენი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში შემცირდა.

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან 2007 წლიდან სტაბილურად 24-26%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ვალი



*2017 წლის სამი კვარტლის მდგომარეობით არსებული სახელმწიფო ვალი შეფასდებულია. 2016 წლის IV და 2017 წლის პირველი სამი კვარტლის მშპ-ს ოკამერ მარგებულია

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2007 წლიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფო ვალის[4] მოცულობა იზრდება. ყველაზე მაღალი წლიური ზრდა 2008 წელს დაფიქსირდა. ამის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. 2008 წლის შემდგომ 2012 წლამდე სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპი კლებულობს, ხოლო 2013-დან 2016 წლამდე კვლავ ზრდადი ტენდენცია აღინიშნება.

სახელმწიფო ვალის მდგრადობის შესაფასებლად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სახელმწიფო ვალის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან. 2007-დან 2010 წლის ჩათვლით სახელმწიფო ვალის პროცენტული წილი მშპ-სთან მიმართებაში ზრდადი იყო (25.5%-დან 42.4%-მდე გაიზარდა). 2011 წლიდან ეს მაჩვენებელი კლებულობს, ხოლო 2014 წლიდან კვლავ ზრდას განაგრძობს.

2017 წლის სამი კვარტლის მდგომარეობით, არსებული სახელმწიფო ვალი 15.9 მილიარდი ლარია, რაც უკანასკნელი ოთხი კვარტლის მთლიანი შიდა პროდუქტის 43%-ს შეადგენს.

ზემოთ მოცემული ანალიზი სახელმწიფო ვალზე, მოიცავს მხოლოდ მთავრობის და ეროვნული ბანკის ვალს. ამავდროულად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, სახელმწიფო ვალი ასევე უნდა მოიცავდეს სახელმწიფო საწარმოების მიერ აღებულ ვალს და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა არ უნდა აჭარბებდეს 50%-ს[5].

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საწარმოების ვალის გათვალისწინებით სახელმწიფო ვალის (მთავრობის, ეროვნული ბანკის და სახელმწიფო საწარმოების) წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2015 წელს 53.3%-ს, ხოლო 2016 წელს 58%-ს შეადგენდა[6], რაც აღემატება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ვალის მშპ-თან ფარდობის კრიტიკულ ზღვარს. გასათვალისწინებელია ასევე ეკონომიკური თავისუფლების შესახებ არსებული ორგანული კანონი, რომლის მიხედვით სახელმწიფო ვალის პროცენტული წილი მშპ-ში არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

სხვა ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	2492.1	3174.9	2706.6	2964.5	3725.1	4142.9	4274.4	4429.7	3764.6	3865.8
უმუშევრობის დონე (%)	13.3	16.5	16.8	16.3	15.1	15.0	14.6	12.4	12.0	11.8
სიღარიბის დონე (ფარდობითი, %)	21.3	22.1	21.0	22.7	23.0	22.4	21.4	21.4	20.0	20.6
სიღარიბის დონე (აბსოლუტური, %)	37.4	33.4	33.5	36.1	32.5	28.9	25.6	22.4	20.8	21.3

[2] 2008 წლიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი, შეძცირდა იძულებითის გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი 25%-დან 20%-ამდე (2009 წლიდან), დღგ 20%-დან 18%-ამდე, 2017 წლიდან ცვლილება განხორციელდა მოგების გადასახადშიც

[3] 2007 წელს საშემოსავლო გადასახადი 12% იყო, 2007 წლის 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით (კანონი ძალაში შევიდა 2008 წლის 1 იანვარს) გაუქმდა სოციალური გადასახადი (20%), ხოლო საშემოსავლო გადასახადი 12%-დან 25%-მდე გაიზარდა (2009 წლიდან შემცირდა 20%-მდე).

[4] სახელმწიფო ვალი - მოიცავს საშინაო და საგარეო ვალს (მათ შორის „ისტორიულ ვალს"). სახელმწიფო ვალი არ მოიცავს სახელმწიფო საწარმოების ვალს.

[5] სახელმწიფო აუდიტის სამსახური: სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი 2014.

[6] სახელმწიფო აუდიტის სამსახური